ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1380892

ნომერი: AR1233436

თარიღი : 03.07.2014

გაცემის თარიღი : 10.07.2014

გაცნობის თარიღი : 10.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი. ნათისხევისა და საქარხნო რაიონის კავსირგაბმულობის სამინისტროს, საქარმოს შორის არსებული ტერიტორია(ნაკვ. 01/078);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ლაბაძე პ/ნ 01001001276
- თბილისი ს.ზალდასტანიშვილის შეს. N 10

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : სამრეწველო შენობა

გარკვეული დოკუმენტაცია ხარვეზითაა წარმოდგენილი, კერძოდ:

სამსახურის ხელთ არსებული მონაცემთა ბაზებით და სხვა მასალათა მიხედვით ობიექტი 2007 წლის პირველ იანვრამდე დასრულებული არ იყო. მისამართის ველში მისამართი არ არის სწორი. ფართები დასაზუსტებელია. განმცხადებლის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტია წარმოსადგენი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. წარმოსადგენია ობიექტის 2007 წლის პირველ იანვრამდე დასრულების დამდგენი დოკუმტი, პროექტში არ არის ნაჩვენები საკადასტრო საზღვრები. ანტრესოლზე ფართი არ არის დატანილი და

თხელი ლითონის ფირფიტის მიშენებზე,რომელშიც ფართი წერია არის თუ არა კარი გაურკვეველია, გეგმაზე ჭრილი 3-3 ია და ჭრილში 2-2 ნაჩვენები.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

დაევალოს მოქალაქე კონსტანტინე ლაბაძეს 10 (ათი) დღის ვადაში ფართობის ველი მიუთითოს ობიექტის ზუსტი ფართობი, მისამართის ველში დააფიქსიროს ობიექტის ზუსტი მისამართი, შეასწოროს ზემოთ აღნიშნული ხარვეზები და დამატებით წარმოადგინოს:

1. შესწორებული არსებული სიტუაციის პროექტის ყველა ფაილი.
2. განმცხადებლის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან.
3. ობიექტის არსებული სახით 2007 წლის I იანვრამდე დასრულების დამდგენი დოკუმენტი.

აღწერილი ხარვეზები უნდა გამოსწორდეს და მიამაგროთ შესაბამის ველებში.

მითითებულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.